თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ვინ რა პოსტი დაიკავა ქუთაისის საკრებულოში

იხილეთ მე-3 გვერდზე

№25 (713) 21 - 27 ივლისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

სისხლი და ხორცი — მდინარე რიონში

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ქუთაისში „ბოინებიდან“ ნარჩენები მდინარეში იყრება

შეესაბამება თუ არა ქუთაისში ცხოველთა სასაკლაოები თანამედროვე სტანდარტებს?

ცხოველთა სასაკლაო, იგივე „ბოინი“, უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ ბაზარზე ხარისხიანი და ჯანსაღი პროდუქცია შევა, ამიტომ „ბოინებზე“ არსებული სანიტარული ნორმები სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. თუმცა, რიგი მოგვარებული პრობლემებისა, ქუთაისში „ბოინებზე“ არაერთი დარღვევა ფიქსირდება. ნიკეას დასახლებაში არსებულ ცხოველთა სასაკლაოებზე დაკლული პირუტყვის სისხლი მდინარე რიონში ჩაედინება, რასაც ასევე მდინარეში ჩაყრილი ნარჩენები ემატება. მიუხედავად იმისა, რომ მდინარეში ჩამდინარე სისხლი სააგენტო psnews.ge-ს მიერ კამერაზეც აღიბეჭდა, „ბოინების“ წარმომადგენლები მათ მიერ რიონის დაბინძურების ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ.

თვითმხილველი კი, რომელიც რედაქციას დაუკავშირდა, აღნიშნავს: „ხშირად შემინიშნავს, როგორ გაჰქონდათ ნარჩენები და მდინარეში ყრიდნენ, ამასთან ერთად, არამგონია, კანალიზაცია ჰქონდეთ, შესაბამისად, სისხლი და მოხმარებული წყალი მდინარეში ჩაედინება“.

გაზეთი „P.S.“ შეეცადა, ვითარებას ადგილზე გაცნობოდა, რისთვისაც ნიკეას დასახლებაში არსებული „ბოინების“ სიახლოვეს, მდინარე რიონის სანაპიროები დავათვალიერეთ. ზედაპირულად ნარჩენების აღმოჩენა ვერ მოხერხდა, თუმცა მდინარესთან დაკავშირებული პატარა არხით რიონში წითელი შეფერილობის სითხე, სავარაუდოდ, სისხლი ჩაედინებოდა, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა და არასასიამოვნო სუნიც იგრძნობოდა. მდინარეში ჩამდინარე სითხე რომ სისხლია, დაადასტურეს იქ მყოფმა მეთევზეებმა და აღნიშნეს, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა და ხშირად შეუმჩნევიათ ასეთი სიტუაცია, თუმცა მდინარეში ნარჩენები არ შეუნიშნავთ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უპირატესობაა მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების ჩართულობა

ინტერვიუ ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე გიორგი ქაშაკაშვილთან

იხილეთ მე-4 გვერდზე

თამარ ივერი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონცერტს გამართავს

იხილეთ მე-5 გვერდზე

სასწრაფო დახმარების გამოძახებას ყოველთვის ვეღარ შეძლებთ

იხილეთ მე-2 გვერდზე

საჯარო სამსახურში მილების წესები იცვლება

იხილეთ მე-3 გვერდზე

შსს-მ ექვსი თვის დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა

იხილეთ მე-5 გვერდზე

„მაყურებლები“ დაბრუნდნენ?

იხილეთ მე-5 გვერდზე

ვის ეკუთვნის რეგიონული მედია?

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საჯარო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 | კროსვორდი — გვ. 7

სასწრაფო დახმარების გამოძახებას ყოველთვის ვეღარ შეძლებთ

უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდება, რომლის მიხედვითაც სასწრაფო სამედიცინო გამოძახებები დარეგულირდება.

როგორც „კომერსანტს" სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში (033) განუცხადეს, ჯერჯერობით, საკანონმდებლო ინიციატივა არ მომზადებულა, თუმცა, გეგმაში არის და უახლოეს მომავალში დაიწყება მუშაობა იმაზე, თუ როგორ დაასტაბილურონ არამიზნობრივი გამოძახებები, რაც შესაძლოა, რამდენიმე მიმართულებით ჩამოყალიბდეს.

მათივე განცხადებით, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების რაოდენობის გაზრდა ვერ აღმოფხვრის ამ პრობლემას მაშინ, როდესაც მხოლოდ თბილისში დღე-ღამეში 2 000 და მეტი გამოძახებაა.

„მთავარია ადამიანებმა გაიგონ, თუ როდის არის საჭირო გადაუდებელი დახმარება," — აღნიშნავენ ცენტრში და დასძენენ, რომ არსებობს ოჯახის ექიმები და ამბულატორიები, სადაც მომხმარებელს შეუძლია მიმართოს ისეთ სიტუაციებში, რომელიც გადაუდებელი არ არის.

წინააღმდეგ შემთხვევაში, არამიზნობრივ გამოძახებაზე მისულმა ბრიგადამ, შესაძლოა, რეალური საფრთხის ქვეშ მყოფ ავადმყოფთან მისვლა დააგვიანოს და ეს მძიმე შედეგით დასრულდეს.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრს თბილისში 13 ფილიალი აქვს, რომლებიც ტერიტორიული პრინციპით არის გადანაწილებული და მთელ ქალაქს მოიცავს.

აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატმა დავით სერგეენკომ 2012 წლის ოქტომბერში დასვა და განაცხადა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მოსახლეობა ხშირად არამიზნობრივად, ტაქსის ფუნქციით იძახებენ, ამიტომ, გამოძახებების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს.

საკითხის გატანა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტზე მიმდინარე წლის მაისში იგეგმებოდა.

commersant.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ᵃ. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

სისხლი და ხორცი — მდინარე რიონში

ქუთაისში „ბოინებიდან" ნარჩენები მდინარეში იყრება

პირველი გვერდიდან

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

შპს „ლომთას" ცხოველთა სასაკლაო

მდინარე რიონში მათი „ბოინიდან" გამდინარე სისხლის ჩაღვრის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ ცხოველთა სასაკლაო შპს „ლომთა"-ში. თანამშრომლები „ბოინზე" არსებული ვითარებით ჩვენმა დაინტერესებამ გააღიზიანა, „ბოინის" ვეტექიმმა ნინო აგიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ შესაძლოა, სისხლი მეორე „ბოინიდან" — შპს „მანა"-დან ჩადიოდეს მდინარეში, რადგან აღნიშნულ „ბოინს" საერთოდ არ აქვს კანალიზაცია.

„სად ჩადის სისხლი? წამოდით და მაჩვენეთ, შეუძლებელია ჩვენგან გადიოდეს, ალბათ, მეორე „ბოინიდან" გამოდის, არც კანალიზაცია აქვთ და არც შესაბამისი დონეები, რითიც სისხლის დალექვა მოხდება. არ ვიცი, ალბათ, მაგათგან გამოდის. წარმოუდგენელია აქედან გადიოდეს ეგ სისხლი. ჩვენი „ბოინი" ქალაქის კანალიზაციაზეა დაერთებული, კანალიზაცია კი სად გადის, ეგ აღარ ვიცით," – განაცხადა **ნინო აგიაშვილმა**, რომელიც „ბოინის" წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას პარლამენტის დეპუტატს კობა დავითაშვილს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ დავითაშვილი არასწორი კონსულტაციით შეცდომაში შეიყვანეს, რაც იყო მიზეზი იმისა, რომ დეპუტატმა ბოინების გაუქმების მოთხოვნით საკანონმდებლო ორგანოს მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

მდინარის დაბინძურების ფაქტზე კონკურენტი „ბოინის" კვალს ხედავს „ლომთას" ერთ-ერთი თანამშრომელიც. ისიც ადასტურებს, რომ, მეორე „ბოინზე" ცხოველთა სისხლი საერთოდ მიწაში ჩადის, რადგან კანალიზაცია არ აქვთ, თუმცა ერთი უცნაური ვერსიაც გამოთქვა, „სისხლი სად ჩადის, ეგ კი არაა პრობლემა, მთავარია, როგორ ჩადის. გაფილტრულია ეგ სისხლი. „კრასკა" რომ ჩადის მდინარეში, საკითხავია, როგორ მიედინება? გაფილტრული თუა, ეს აღარაა ქიმიურად საშიში, ასევე სისხლიც წითელი ფერის რომ ჩადის, ეგ არაფერია, მთავარია, რომ გაფილტრულია," – აღნიშნა **ლავრენტი სულაქველიძემ.**

არხი, რომლითაც რიონში სისხლი ჩადის, ცხოველთა სასაკლაო „მანა"-დან რომ არ გადის, ამის დასტურად ორ „ბოინს" შორის არსებული საკმაოდ დიდი მანძილიც გამოდგება, თუმცა ეს არაა გარანტი იმისა, რომ, თავის მხრივ, „მანა"-დან სისხლი და ნარეცხი წყალი რიონში არ იყრის თავს.

ბრალდებას კონკურენტების მიერ მათ წინააღმდეგ მიმართულ ბინძურ კამპანიად მიიჩნევს შპს „მანას" ხელმძღვანელი მამუკა კუბლაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ბაზარზე მათმა გამოჩენამ ცხოველთა სხვა სასაკლაოებს პრობლემები შეუქმნა, რაც გახდა მიზეზი უსაფუძვლო ბრალდებებისა.

„რა უნდა გითხრათ? ეს არის ჩვენი მისამართით აგორებული ბინძური კამპანია. სხვა რომ ვერაფერი მოიგონეს, შეეცადენ, მათ მიერ მდინარის დაბინძურების ფაქტი ჩვენთვის დაებრალებინათ. ჩვენთან პროფესიონალები მუშაობენ, ყველა გვენდობა და გაცილებით კარგი მუშაობა გვაქვს. ჩვენს კონკურენტებს ვერ მოუნელებიათ ბაზარზე ჩვენი შემოსვლა, რითაც ხალხის ხარჯზე ფულის შოვნის საშუალება არ მივეცით. ვიდრე ჩვენ მუშაობას დავიწყებდით, „ბოინზე" დაკლულ პირუტყვში, ერთ კილოგრამ ხორცზე 1 ლარს ახდევინებდნენ, რაც 150-დან 300 ლარამდე მერყეობდა. ახლა კი ეს თანხა 10-დან 30 ლარამდეა. ეს არ მოსწონთ და ამიტომ გვებრძვიან. რაც შეეხება ნარჩენებს, დასუფთავების სამსახურს გააქვს, ხშირად გვამოწმებენ და დარღვევა არ აღმოუჩენიათ. არსებობს რიგი საკითხები, რაც სტანდარტებს, ჯერჯერობით, არ შეესაბამება, მაგრამ მათ მოგვარებას ეტაპობრივად ვცდილობთ. გვაქვს სპეციალური კოლექტორი, სადაც სისხლი და ნარეცხი წყალი გროვდება," – განაცხადა **მამუკა კუბლაშვილმა.**

„მანა"-ს ერთ-ერთი თანამშრომლის განცხადებით კი, მათგან საკმაოდ მოშორებით არის ორმო, სადაც ჩაედინება სისხლი, რომელიც შემდეგ სპეციალური მანქანით იტუმბება. ჩვენს თხოვნაზე, ეჩვენებინა აღნიშნული ორმო, გვითხრა, რომ „ბოინიდან" შორსაა და ფეხით მისვლას ვერ შევძლებდით.

ჩვენის მხრივ შევეცადეთ, „ბოინზე" მიღებული ინფორმაცია ადგილზე გადაგვემოწმებინა და მითითებულ ტერიტორიაზე გვეპოვა ორმო, სადაც სისხლი გროვდება, მაგრამ „ბოინთან" ნახევარკილომეტრიან რადიუსში ვერანაირი ორმო ვერ აღმოვაჩინეთ, საიდანაც ხდება სისხლის ამოტუმბვა. ტერიტორიაზე არსებული რთული რელიეფი კი რამდენიმე ასეულ მეტრზე მილების გაყვანის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

შპს „მანას" ცხოველთა სასაკლაო

***

შპს „მანა" კანალიზაციით რომ არ სარგებლობს, ადასტურებს დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაც. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ შპს „მანა" მათთგან მხოლოდ წყალს იღებს, შპს „ლომა" კი მათი აბონენტი მხოლოდ წყალარინების კუთხით არის და მათ მიერ მიწოდებული წყლით არ სარგებლობს. არ გამორიცხავენ, რომ ეს უკანასკნელი წყალს არტეზიული ჭის მეშვეობით იღებდეს.

***

ცხოველთა სასაკლაოზე ჰიგიენურ ნორმებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სურსათის უვნებლობის სამსახური ამოწმებს, რომელსაც არც ამ დრომდე და არც ჩვენს მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ დარღვევები არ აღმოუჩენია. გარკვეული პერიოდის წინ სამინისტროს გადაწყვეტილებით, კერძო საკუთრებაში გადასული „ბოინებიდან" ნარჩენები დასუფთავების სახელმწიფო სამსახურს კვირაში მხოლოდ ერთი დღე გააქვს, რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ნარჩენები მდინარეში გადაეყარათ, ვინაიდან „ბოინების" ხელმძღვანელობას დასუფთავების სამსახურის ყოველდღიური მომსახურეობა სოლიდური თანხა უჯდება.

როგორც ცხოველთა სასაკლაოებზე აღნიშნავენ, პირუტყვის დაკვლა და შემოწმება წესების სრული დაცვით ხდება, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირუტყვის ზედაპირული შემოწმება მხოლოდ „ბოინზე" მიყვანის შემდგომ ხდება. არსებული წესდება კი პირუტყვის ვეტექიმის მიერ უშულაოდ სოფელში შემოწმებას მოითხოვს, რადგან თავიდან იქნას აცილებული დაავადებული პირუტყვის ტრანსპორტირება, რაც განვლილი პერიმეტრის დაბინძურებას და „ბოინზე" არსებული სხვა პირუტყვის დაავადებას გამოიწვევს, ამით კი ბაზარზე ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქცია მოხვდება.

„ბოინებზე" არსებულ სიტუაციას მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებენ ხორცის მაღაზიების მეპატრონეები, თუმცა აღნიშნავენ, რომ „ბოინზე" პირუტყვის დაკვლა მძიმე ტვირთად დააწვა მათ, რამაც ხორცის ღირებულების გაზრდა გამოიწვია. ერთი კგ საქონლის ხორცის საბაზრო ღირებულება ამ დროისთვის 11 ლარს შეადგენს.

ცხოველთა სასაკლაოებზე პირუტყვის დაკვლაში მხოლოდ ბიზნესინტერესებს ხედავს პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გოგი წულაია. წულაია აღნიშნავს, რომ „ბოინი" წინა ხელისუფლებამ მხოლოდ ფულის ახალ წყაროდ აქცია და ადამიანების უსაფრთხოებაზე არავის უფიქრია. მოგვიანებით კი წინამორბედების წამოწყება ახალმა ხელისუფლებამაც წარმატებით გააგრძელა.

„რა უსაფრთხოება, რის ადამიანების ინტერესები, ეს მხოლოდ ბიზნესია ხელისუფლების და მეტი არაფერი. „ბოინები" მხოლოდ იმიტომ შემოიღეს, რომ ხორცის ბაზარი ეკონტროლებინათ. მათ ნაქებ „ბოინზე" უამრავი დარღვევაა. ჯერ ერთი, რომ არ შეიძლება ვეტექიმის მიერ შეუმოწმებელი პირუტყვის ტრანსპორტირება. ეს სოფლებში უნდა ხდებოდეს, რადგან თუ პირუტყვი დაავადებულია, ის ქუთაისში ჩამოსვლამდე ქმნის საფრთხეს. ასევე უნდა ხდებოდეს პირუტყვის ერთი დღით დაყოვნება, თუმცა „ბოინებზე" საქონელი იმ დღესვე იკვლება. სახელმწიფო თუ მოსახლეობაზე ზრუნავს, მაშინ უნდა მოწმდებოდეს ბაზარზე გამოტანილი როგორც საქონლის, ასევე ღორის და ქათმის ხორციც. რა მნიშვნელობა აქვს, ქათამი მომკლავს თუ კვერცხი? ძროხის ხორცი თუ ყველი? ყველა პროდუქცია უნდა შემოწმდეს. რაც შეეხება „ბოინებს", არანაირი სტანდარტი დაცული არაა. ის ფაქტი, რომ „კაფელია" დაგებული, არაფერს ცვლის, არ ხდება ჰიგიენის დაცვა. მიუშვებენ წყალს და გადარეცხავენ. ვინ ზრუნავს ადამიანებზე? სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ფულის კეთებაზეა გადასული, თუ „ბოინების" თანამშრომლები, რომლებიც მხოლოდ კონკურენციით არიან დაკავებულნი? ჩვენზე ვინ იზრუნებს, როდესაც საკუთარ თანამშრომლებზე არ ზრუნავენ? მიდით და იკითხეთ, რამდენი ხანი ამუშავებენ და თუ უხდიან შესაბამისად. ყველა ნორმასთან ერთად შრომითი ხელშეკრულებაც ირღვევა, თუმცა ამ ყველაფერს ხელისუფლება მშვიდად ხვდება," – განაცხადა **გოგი წულაიამ.**

ვიდრე „ბოინები" ერთმანეთის, ჩვენი და, ამავდროულად, დეპუტატის დადანაშაულებას აგრძელებენ, რთული სათქმელია, რამდენად ჯანსაღი ხორცი შედის ბაზარზე. „ბოინი" თავის თავში უსაფრთხო და შემოწმებულ პროდუქციას გულისხმობს, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც ცხოველთა სასაკლაოებიდან ნარჩენები მდინარეში იყრება უკონტროლოდ დარჩენილი, თუმცა ლიცენზირებული „ბოინი" ვერ იქნება სრული გარანტი ბაზარზე შესული ხორცის უსაფრთხოებისა.

ნესტან ჩაგელიშვილი

საჯარო სამსახურში მიღების წესები იცვლება

საჯარო სამსახურის ბიურომ საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის პრეზენტაცია გამართა. რეფორმა მიზნად ისახავს გამართული და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბებას და ისეთი საკითხების რეგულირებას, როგორიცაა: საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები; საჯარო სამსახურის მართვის, კოორდინაციისა და ზედამხედველობის ცენტრალიზებული სისტემა; საჯარო სამსახურში მიღება; კლასიფიკაციის სისტემა; ანაზღაურების სისტემა; საჯარო მოხელეების მართვა და ა.შ.

„ალიას" ესაუბრება საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი ეკა ქარდავა:

— ეს არის ძირითადად ევროპული ქვეყნების მოდელი, როგორიცაა, მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბალტიისპირეთი, ამ ქვეყნების მაგალითზე, მათი რეფორმის განზოგადების შედეგად მოხდა ჩვენი რეფორმის მნიშვნელოვანი სისტემის ჩამოყალიბება. ჩვენთვის საინტერესო იყო პროფესიული ინსტიტუტის არსებობა, რომელიც ერთგვარი დაცულობის ელემენტებით ხასიათდება. პროფესიული საჯარო მოხელე არის ის ბირთვი, რომელსაც უნდა დაემყაროს მთლიანად ქვეყანაში ერთიანი საჯარო სამსახური. მოხელე იწყებს თავის კარიერას ნულოვანი საფეხურიდან და თავისი კარიერული წინსვლის, შეფასების, სხვადასხვა სწავლება-გადამზადების, შედეგების გათვალისწინებით მიიწევს რანგების, კლასების შესაბამისად მაღლა და მაღლა. ეს არის პროფესიული მოხელის ის ინსტიტუტი, რომელსაც ემყარება ევროპული დოგმატიკა, და რომელიც ერთგვარად ნიშნავს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. ასეთი პირები დაცულები არიან პოლიტიკური ცვალებადობის შემთხვევაში განთავისუფლებისგან, უფლებების შეზღუდვისგან და ა.შ.

— ბევრმა ადამიანმა წინა ხელისუფლების პირობებში შრომის წიგნაკი პირდაპირ პარლამენტში გახსნა. მსგავსი პრეცედენტებისგან ამ რეფორმის შედეგად რამდენად ვიქნებით დაცული?

— დავიწყოთ იქიდან, რომ პარლამენტის წევრები არ მოიაზრებიან პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტში, პარლამენტის აპარატში დასაქმებული პირები არიან საჯარო მოხელეები, მაგრამ არჩევითი თანამდებობები, როგორიცაა დეპუტატი, არის პოლიტიკური არჩევითი თანამდებობა, ამიტომ ამ რეფორმის შინაარსს არ ექვემდებარება მათი საკითხი. მათ სპეციალურად არეგულირებს შესაბამისი კანონმდებლობა. იგივე პარლამენტის წევრობასთან დაკავშირებით კონსტიტუცია გვეუბნება, რა ასაკიდან შეიძლება იყოს არჩეული პარლამენტის წევრი. ამიტომ პროფესიით მოხელის ცნება და არჩევით პოლიტიკურ თანამდებობაზე პირის გამწესება აბსოლუტურად სხვადასხვა საკითხებია და ერთობლიობაში ვერ განვიხილავთ.

— დანიშვნით თანამდებობაზეც მსგავსი სიტუაცია იყო წინა ხელისუფლების პირობებში. „კმარელი" გოგო-ბიჭებით გაავსეს სამინისტროები და პროფესიონალები ქუჩაში გამოყარეს...

— ბუნებრივია, როცა კანონი იარსებებს, მსგავსი პრეცედენტებისგან აბსოლუტურად დაზღვეულები ვიქნებით. ჩვენ ვამბობთ, რომ კადრების შემოდინება მოხდება დაბალ საფეხურზე, დაბალი რანგის თანამდებობებზე, ხოლო საჯარო სამსახურებში დაბალ და მაღალ რანგებზე პირების გამწესება მოხდება დაწინაურების წესით, რაც ერთგვარად შიდა კონკურსის წესით განისაზღვრება.

— ანაზღაურებასთან დაკავშირებით როგორ მოხდება? თუ მაღალი რანგის პროფესიონალი გყავთ, ესე იგი, ლოგიკურად, უნდა მიეცეს მაღალი ხელფასი და დაბალი რანგის და პროფესიონალიზმისას — დაბალი. აქ ჩნდება კითხვა, რატომ უნდა გააჩეროთ დაბალი პროფესიონალიზმის მქონე ადამიანი სამსახურში, როცა მისი ჩანაცვლება შეგვიძლია მაღალპროფესიონალური კადრით?

— ეს საკითხი რეფორმის შინაარსს ოდნავ ცდება, თუმცა მესმის, რომ დღევანდელ რეალობასთან დაკავშირებით გაგიჩნდათ ეს კითხვა. დღეს არ შექმნილა საჯარო სამსახური ქვეყანაში, არ იყო ის თავისუფალი პოლიტიკური ნებისა და შეხედულებისგან და ასეთი დაბალკვალიფიციური კადრები არის ნაყოფი იმ 90-იანი წლებიდან მომდინარე და სწორედ ეს გვინდა შევცვალოთ, ამიტომაც ვაკეთებთ ამ რეფორმას და ვათავისუფლებთ საჯარო სამსახურს პოლიტიკური წნეხისგან.

— გასაგებია, მაგრამ 2-3 წლის წინათ დანიშნულ მოხელეს ხომ ამბიცია ექნება, როცა ეტყვიან, თავისუფალი ხარო. როგორ აუხსნით, ეს რეფორმამ მოიტანაო?

— ამისთვის არსებობს შეფასების სისტემა, ატესტაცია, რომელიც დღეს მოქმედი კანონითაც გვაქვს ჩვენ გაწერილი. ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაბალკვალიფიციური კადრი, თუ ის ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შესაბამისად, განთავისუფლდება სამსახურიდან, მაგრამ ეს არის შემდგომი ეტაპი, ამიტომ მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად მოხდება ე.წ. საკადრო წმენდა საჯარო სამსახურიდან. ჩვენ ვსაუბრობთ დღეს რეფორმაზე, როგორი გვინდა, იყოს საჯარო სამსახური, მაგრამ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, რა მიდგომა იქნება შემოთავაზებული, ეს კიდევ შემდგომი მსჯელობის საგანი გახდება.

— ატესტაცია მოხდებაო, ამბობთ, ვინ გადაწყვეტს ამა თუ იმ ადამიანის კვალიფიკაციის ბედს და რამდენად ობიექტურად ჩატარდება? წლებია გვესმის, რომ ატესტაციები შირმაა და სამსახურებში ჩაწყობით იღებენ...

— ეს უნდა გადაწყვიტოს შეფასების სისტემამ, არ იქნება ერთი და ორი ადამიანის სუბიექტურად გადასაწყვეტი, როგორც არის ეს დღეს. მოხელეების შემოწმება წელიწადში ერთხელ მოხდება. მათი შედეგების გათვალისწინებით მოხდება ადამიანური რესურსების სწორი მართვა და მერე — გადაწყვეტილების მიღება შემდგომში მათი დაწინაურების მიზნით. ან მოხდება მისი გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება რაღაც კონკრეტულ სეგმენტში, მაგალითად, შეიძლება ადამიანმა კარგად იცოდეს კონკრეტული უნარ-ჩვევები, მაგრამ იგივე ეთიკაში სჭირდებოდეს გადამზადება, მარტო ერთ რამეში მოუმზადებლობის გამო ხომ ვერ გავათავისუფლებთ პირს სამსახურიდან, მით უმეტეს, როცა საუბარია ინსტიტუტის გაძლიერებაზე, მაღალ კვალიფიკაციაზე, სტაჟზე. სხვადასხვა მექანიზმი იდება კანონში.

— ვაკანსიების ნაწილში ხომ არაფერს ცვლით, ისევ კონკურსის შედეგად აიყვანთ საჯარო სამსახურში პირებს? როგორც ვიცი, როცა ვაკანსია ცხადდება, თითო ადგილზე ათობით განცხადება შედის ხოლმე.

— ხვალიდან ახლებური ცხოვრების და ყველაფრის მოწესრიგების გარანტია არ გვაქვს. ის პრობლემები, რასაც ახლა მეუბნებით, არის არსებული მდგომარეობის მოწესრიგების თვალსაზრისით წამოჭრილი საკითხები. მე მესმის, რომ ახლა ეს აინტერესებს მკითხველს, მაგრამ დღევანდელი კონცეფციიდან ეს თემები ზოგადია, უნდა გადავიდეთ ორდონიან სისტემაზე, ჯერ მოხდება სერტიფიცირება და ვისაც ექნება კვალიფიკაციის შესაბამისი სერტიფიკატი, ის უკვე ირჩევს სასურველ უწყებას და მერე იღებს მონაწილეობას კონკურსში. ერთ ვაკანსიაზე შეიძლება მართლაც ათეულობით პრეტენდენტი იყოს და ეს აიხსნება ამ ვაკანსიის მომხიბვლელობით.

ჟანა ასანიძე,
გაზეთი „ალია"

ვინ რა პოსტი დაიკავა ქუთაისის საკრებულოში

მე-5 მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი გახდა

დავით დვალი

ქუთაისის მე-5 მოწვევის 25-კაციანი საკრებულო 14 ივლისს მუშაობას შეუდგა.

უმრავლესობის არჩევანით ახალი საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი დავით დვალმა დაიკავა. თავმჯდომარის პოსტზე მის კანდიდატურას კენჭისყრაში მონაწილე 21 დეპუტატიდან მხარი 20-მა დაუჭირა. ერთი ბიულეტინი ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო საკრებულოს „ნაციონალმა" წარმომადგენლებმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს.

„ჩვენ ჩვენს სიტყვას შევასრულებთ, რაც შეეხება ქალაქისთვის წინსვლის პროექტებს, ამას მხარს დავუჭერთ. ხოლო პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ ჩვენს თავზე და ვერ მივიღებთ საკრებულოს პოლიტიკური პოსტის არჩევნებში მონაწილეობას," — განაცხადა „ნაციონალმა" საკრებულოს წევრმა დავით გოგისვანიძემ სხდომაზე.

დავით დვალი 1977 წელსაა დაბადებული. სწავლობდა ქუთაისის №1 და №3 საშუალო სკოლაში; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ სპეციალობაზე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ასპირანტურა/სისხლის-სამართალი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწედ; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო განყოფილების უფროსად; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ.

წინა მოწვევის საკრებულოში იყო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარე და ამავე დროს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა. ასევე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქუთაისის საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას. ბოლოს ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იგი „ქართული ოცნების" სიით მონაწილეობდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები

საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ ჯერი მის მოადგილეებზე მიდგა.

დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ფარული კენჭისყრით აირჩიეს.მოადგილეების პოსტზე „ოცნების" წევრები ბექა ყანჩელი და ნიკოლოზ ლატარია – საფიჩხიის ოლქის მაჟორიტარი დეტუტატი – დასახელდნენ. ყანჩელის კანდიდატურას მხარი 18-მა დეპუტატმა დაუჭირა. რაც შეეხება ლატარიას, ის 17-მა დეპუტატმა აირჩია. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „ნაციონალებს".

კომისიის თავმჯდომარეები

ქუთაისის საკრებულოს ახალმა შემადგენლობამ საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებიც ფარული კენჭისყრით აირჩია.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარის პოსტი **კახაბერ დვალიშვილმა** დაიკავა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ **გურამ ტოროშელიძე** აირჩიეს.

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ირმა პეტრიაშვილი** გახდა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ **თეიმურაზ ნადირაძე** იქნა არჩეული.

ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ ნდობა **ლელა ქელბაქიანს** გამოუცხადა.

ასე რომ, ხუთივე კომისიას სათავეში საკრებულოს უმრავლესობის — „ქართული ოცნების" წევრი ჩაუდგა.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები

დაგაეჭვათ სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება

მოგვმართეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრებში!

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავათვალიერებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძენთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაქვეყნებთ ვებ-გვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

დარეკეთ ცხელ ხაზზე!

თბილისი — ტელ.: 219 42 42, momxmarebeli.ge, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

ახალციხე — ტელ.: 551 555 267, ელ-ფოსტა: mmakhaltsikhe@gmail.com, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია;

გორი — ტელ.: 599 534 070, 598 544 053, ელ-ფოსტა: mmcshidakartli@gmail.com, საზოგადოება „ბილიკი";

ქუთაისი — ტელ.: 570 105 573, ელ-ფოსტა: momxmarebeli.kutaisi@greens.ge, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში".

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე. ელ-ფოსტა: lberdzuli@epfound.ge ტელ.: 225-39-42/43, მისამართი: თბილისი, კავსაძის ქ. №3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ შეგიძლიათ, ეწვიოთ ვებ-გვერდს: www.mkidveli.ge

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უპირატესობაა მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების ჩართულობა

ინტერვიუ ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე გიორგი ქაშაკაშვილთან

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 5 წლის წინ ამოქმედდა. დღემდე მხოლოდ 8 საქმეა განხილული და ყველა შემთხვევაში ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს. ერთ-ერთი საქმე ქუთაისის სასამართლომ განიხილა, რომელსაც ახალგაზრდა მოსამართლე გიორგი ქაშაკაშვილი თავმჯდომარეობდა.

რას წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რა არის მისი უპირატესობები და რაზეა დამოკიდებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრება საქართველოში, — ამ საკითხებზე სწორედ გიორგი ქაშაკაშვილს ვესაუბრეთ.

გიორგი ქაშაკაშვილი – 2003 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; 2003-2006 წლებში მუშაობდა სხვადასხვა იურიდიულ ფირმაში იურისტად და ადვოკატად. სასამართლო სისტემაში მუშაობა დაიწყო 2006 წელს. 2006-2007 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნად, 2007-2008 წლებში – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად; 2008-2009 წლებში სწავლობდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, 2009 წლიდან 2013 წლის ივნისამდე მუშაობდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ, ხოლო 2013 წლის 1 ივლისიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

— ბატონო გიორგი, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებაა. იქნებ დასაწყისისთვის განგვიმარტოთ, რას წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და როგორია ნაფიცი მსაჯულების შერჩევის წესი. რა განმარტებას იძლევა კანონი?

— ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დიდი ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი იყო სამართალწარმოების ისეთი სახე, როგორიც იყო რჯული, ანუ 4-დან 12-მდე რჩეული კაცისგან (ძირითადად უხუცესებისგან) შემდგარი სასამართლო. საგულისხმოა, რომ ამ სასამართლოს წევრებს მსაჯულებს უწოდებდნენ. დღეის მდგომარეობით მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან, თუმცა სასამართლოს შეუძლია საქმის სირთულიდან გამომდინარე დანიშნოს 2-ზე მეტი სათადარიგო მსაჯული. ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული, 18 წელს გადაცილებულ პირთა სიიდან. ნაფიცი მსაჯული უნდა ფლობდეს სისხლის სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობდეს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი და ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები ხელს არ უნდა უშლიდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაში. ასევე ყურადსაღები მომენტია ის, რომ პირი ვერ იქნება ნაფიცი მსაჯული, თუ იგი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია, გამომძიებელია, პოლიციელია, ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სასულიერო პირია, აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა, ბრალდებულია, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, იურისტია, ან თუ მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე.

— რა საქმეებს იხილავენ ნაფიცი მსაჯულები და რა წინაპირობები უნდა არსებობდეს, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა საქმე განიხილონ?

— ნაფიცი მსაჯულები, დღეის მდგომარეობით, იხილავენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებს; ასევე **საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებს, რომელთაც ეკავათ, ან უკავიათ შესაბამისი თანამდებობა** და იმ პირთა საქმეებს, რომელთაც ბრალი ედებათ დანაშაულის ჩადენაში ზემოაღნიშნულ პირთან ერთად. თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული შუამდგომლობს, რომ საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი ბრალდება ნაფიც მსაჯულთა განსჯადია, მაგრამ ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე ჩვეულებრივი წესით.

— როდიდან ამოქმედდა საქართველოში, მათ შორის – ქუთაისში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი?

— ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეების განხილვა საქართველოში დაიწყო, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან და 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედებს ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში.

— არის თუ არა პირობები ქუთაისის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა პროცესების გასამართად? (ვგულისხმობ სპეციალურ სასამართლო დარბაზს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს)

— ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით პროცესების გასამართად აბსოლუტურად ყველა პირობაა შექმნილი. არსებობს სხდომის დარბაზი, რომელშიც სპეციალური გამომყოფი ბარიერით არის შემოსაზღვრული ადგილი, სადაც ნაფიცი მსაჯულები სხდებიან, აღნიშნული დარბაზი აღჭურვილია სპეციალური დამატებითი მიკროფონებით ნაფიც მსაჯულთათვის. ასევე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ინფრასტრუქტურაც მორგებულია ნაფიც მსაჯულებზე, კერძოდ, მათთვის მოწყობილია სასადილო და სათათბირო ოთახები. მოქმედი კანონმდებლობით და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქმის განხილვის პერიოდში ნაფიცი მსაჯულები უზრუნველყოფილნი არიან საკვებით და საცხოვრებელი ფართებით, მათ ასევე უნაზღაურდებათ ის ხარჯები, რაც ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების გამო გასწიეს.

— როგორც ცნობილია, ქუთაისში ერთი საქმე განიხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომელსაც თქვენ თავმჯდომარეობდით. გთხოვთ, გვიამბოთ ამ საქმესთან დაკავშირებული დეტალები. კერძოდ: როდის გაიმართა სასამართლო პროცესი; რა საკითხს ეხებოდა პროცესი (შინაარსობრივად); როგორ მოხდა ნაფიცი მსაჯულების შერჩევა; ვინ იყვნენ პირველი ნაფიცი მსაჯულები (თუ შეგიძლიათ ჩამოთვალეთ გვარ–სახელები, რამდენი იყვნენ სულ?); რას ითხოვდა ბრალდება და რა გადაწყვეტილება მიიღეს ნაფიცმა მსაჯულებმა; ახლა რა ეტაპზეა ეს საქმე?

— ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და საქმის განხილვა დაიწყო 2013 წლის ოქტომბრის თვეში და დასრულდა ნოემბრის დასაწყისში. წარდგენილი ბრალდების მიხედვით, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების დროს, განაწყენების ნიადაგზე შურისძიების მოტივით, განიზრახა რა ორი ადამიანის მოკვლა, დანის გამოყენებით სხეულის სხვადასხვა ნაწილებში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა მათ, რის შედეგადაც ერთი გარდაიცვალა, ხოლო მეორე დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს. მას შემდეგ, რაც წინასასამართლო სხდომაზე გადაწყდა, რომ საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით უნდა განხილულიყო, დაინიშნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა. სხდომის გამართვამდე 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შედგა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა 100-პირიანი სია.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე საცხოვრებელი ადგილის მისამართზე გაეგზავნათ სასამართლოს მიერ მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე დამტკიცებული კითხვარი. აღნიშნული კითხვარები მსაჯულობის კანდიდატებმა შეავსეს და დაუბრუნეს სასამართლოს, რომელიც, თავის მხრივ, სასამართლომ გააცნო მხარეებს. აღნიშნული კითხვარების გაცნობის შედეგად, ასევე შერჩევის სხდომებზე დასმული კითხვების გათვალისწინებით, მოწვეული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებიდან საბოლოოდ შეირჩა 12 ძირითადი და 2 სათადარიგო ნაფიცი მსაჯული, რის შემდეგაც დაიწყო საქმის არსებითი განხილვა. განხილვის დასასრულს ბრალდების მხარემ დასკვნით სიტყვაში დააფიქსირა პოზიცია, რომ ბრალდებული ცნობილი უნდა ყოფილიყო დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობაში ორი პირის მიმართ და ასევე განზრახ მკვლელობაში, თუმცა მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტი და ბრალდებული მხოლოდ განზრახ მკვლელობაში სცნეს დამნაშავედ. აღნიშნული გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა. რაც შეეხება საქმეზე შერჩეული ნაფიცი მსაჯულების პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნულზე თავს შევიკავებ, ვინაიდან მიზანშეუწონლად მიმაჩნია მათი პირადი თანხმობის გარეშე აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით პროცესების გასამართად აბსოლუტურად ყველა პირობაა შექმნილი.

შსს-მ ექვსი თვის დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს ქურდობის 4864 საქმიდან გახსნილია 2126; 2013 წელს 6445 ფაქტიდან გამოძიებულია 2197. 2014 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით რეგისტრირებულია ძარცვის 215 ფაქტი, საიდანაც 161 საქმეა გახსნილი. 2014 წელს ყაჩაღობის 140 ფაქტია აღრიცხული, გამოძიებულია 92.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის იანვარ-ივნისში რეგისტრირებული თვითმკვლელობამდე მიყვანის 199 შემთხვევიდან მხოლოდ 2 ფაქტია გახსნილი. სამინისტროს ცნობით, გასულ წელთან შედარებით დანაშაულის ოდენობა შემცირებულია. 2013 წლის 6 თვეში რეგისტრირებულია თვითმკვლელობამდე მიყვანის 229 შემთხვევა, საიდანაც ასევე გახსნილია 2 საქმე.

შსს-ს მონაცემებით, 2013 წელთან შედარებით შემცირებულია ოჯახური ძალადობის ფაქტები. წელს რეგისტრირებულია 208 ასეთი ფაქტი, საიდანაც გახსნილია 135. გასული წლის 6 თვეში, ოჯახური ძალადობის 218 შემთხვევიდან კი გახსნილია 172.

სამინისტროს ცნობით, თითქმის განახევრებულია გაუპატიურების შემთხვევები და გაზრდილია აღნიშნული დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. 2014 წლის 6 თვეში, რეგისტრირებული გაუპატიურების 16 საქმიდან გახსნილია 10, გასულ წელს მომხდარი 31 ფაქტიდან კი 15.

ასევე, 3 შემთხვევით არის შემცირებული დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (2014 წლის 6 თვე – 52, 2013 წლის 6 თვე — 55).

შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წლის 6 თვეში დაფიქსირდა განზრახ მკვლელობის 45 შემთხვევა, აქედან გაიხსნა 38. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში, განზრახ მკვლელობის 42 ფაქტი მოხდა, საიდანაც სამართალდამცავებმა 37 საქმე გახსნეს. დამამძიმებელ გარემოებებში მომხდარი განზრახ მკვლელობის 11 შემთხვევიდან, შსს-ს ინფორმაციით გახსნილია 10 საქმე. სამინისტროს ინფორმაციით, გასული წლის იანვარ-ივნისში დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის 19 შემთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც 17 გაიხსნა.

შსს-ს ცნობით, მკვლელობის მცდელობის 49 შემთხვევიდან ყველა საქმე გახსნილია. გასულ წელს მომხდარი 79 ფაქტიდან კი გამოძიებულია 75. ასევე, მკვლელობის მცდელობის 9 შემთხვევიდან გახსნილია ცხრავე ფაქტი. გასული წლის 6 თვეში რეგისტრირებული 11 შემთხვევიდან კი მხოლოდ 1 ფაქტია გაუხსნელი.

გასულ წელთან შედარებით, 56 შემთხვევით არის გაზრდილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემთხვევები. მიმდინარე წლის 6 თვეში რეგისტრირებული 114 ფაქტიდან გახსნილია 88, გასულ წელს მომხდარი 58 შემთხვევიდან კი 44.

136 შემთხვევითაა შემცირებული ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტები. 164 შემთხვევიდან გაიხსნა 54, გასულ წელს მომხდარი 300 ფაქტიდან კი გახსნილია 87.

თავისუფლების უკანონო აღკვეთის 35 შემთხვევიდან გასხნილია 24. გასულ წელს მომხდარი 37 ფაქტიდან კი 22 საქმე. მძევლად ხელში ჩაგდების 2 შემთხვევიდან გახსნილია 1 ფაქტი, გასულ წელს მომხდარი 2 ფაქტიდან კი ორივე გამოუძიებელია.

449 თაღლითობის ფაქტიდან გაუხსნელია 180 საქმე, გასულ წელს მომხდარი 483 თაღლითობის შემთხვევიდან კი გაუხსნელია 369. გამოძალვის 15 ფაქტიდან გახსნილია 8, 2013 წელს მომხდარი 32 ფაქტიდან კი 10.

შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით, იანვარ-ივნისში რეგისტრირებულია ხულიგნობის 76 ფაქტი, საიდანაც გახსნილია 60. გასულ წელს მომხდარი ხულიგნობის 93 შემთხვევიდან კი გაიხსნა 74.

427 შემთხვევითაა გაზრდილი ნარკოტიკული დანაშაული. წელს რეგისტრირებულია 2688 შემთხვევა, საიდანაც გახსნილია 2633. გასულ წელს, მომხდარი 2261 ნარკოდანაშაულიდან გამოძიებულია 2139.

შემცირებულია სამოხელეო დანაშაულის ფაქტებიც. წელს რეგისტრირებულია ასეთი 17 ფაქტი, საიდანაც გახსნილია 2 საქმე. გასულ წელს მომხდარი 61 სამოხელეო დანაშაულიდან კი გამოუძიებელია 43 ფაქტი.

„მაყურებლები" დაბრუნდნენ?

საია სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში, სავარაუდოდ, „მაყურებლების" არსებობასთან დაკავშირებით პროკურატურას და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართავს.

2014 წლის 15 ივლისს, სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში მოთავსებულმა პატიმარმა შავლეგ გურგენიძემ საია-ს ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც, სავარაუდოდ, დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და დროულ რეაგირებას საჭიროებს. საქმე ეხება აღნიშნულ დაწესებულებაში, სავარაუდოდ, არსებულ ე.წ. „ციხის მაყურებლების" პრობლემას.

შავლეგ გურგენიძე საია-სთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში უთითებს მე-8 დაწესებულების „ა" კორპუსში მყოფ ორ პიროვნებაზე, რომლებსაც მისჯილი აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა და, სავარაუდოდ, წარმოადგენენ ე.წ. „მაყურებლებს". შავლეგ გურგენიძის განმარტებით, აღნიშნული პირები არიან თემური და ოთარი (ერთ-ერთი გვარად არის ლოლუა). ეს პირები ზეწოლას ახდენენ სხვა პატიმრებზე". „თემური და ოთარი სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილდებიან თავისუფლად, სხვა პატიმრებს სთხოვენ ტელეფონის ბარათს, სიგარეტის და სხვადასხვა პროდუქტების ყიდვას. თუ რომელიმე პატიმარი არ შეასრულებს მათ მითითებას, ოთარის ან/და თემურის მითითებით ადმინისტრაციის თანამშრომლებს გადაყავთ სხვა კორპუსში". შავლეგ გურგენიძე უთითებს, რომ ისიც რამდენჯერმე გახდა იძულებული მათი მოთხოვნები შეესრულებინა. გურგენიძის განმარტებით, დასახელებულ პირებს მფარველობს №8 დაწესებულების დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში, ვინმე ილო.

ამავე განცხადებაში შავლეგ გურგენიძე მიუთითებს, რომ „თუ პატიმარი ითხოვს ექიმთან შეხვედრას და ეძახის დაწესებულების თანამშრომლებს, მსჯავრდებულები ოთარი ან/და თემური აგინებენ მსჯავრდებულს, უყვირიან და შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომლებს აძლევენ მითითებებს, რომ მსჯავრდებული გადაიყვანონ სხვა კორპუსზე, რასაც ადმინისტრაციის თანამშრომლები ასრულებენ და მსჯავრდებული გადაყავთ სხვა კორპუსზე."

დასახელებული ფაქტები დაუყოვნებლივ შესწავლას მოითხოვს. დაუშვებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კონკრეტული პატიმრების მხრიდან გავლენის მოპოვების და ციხის ადმინისტრაციის საქმიანობაში მათი ჩარევის პრაქტიკის არსებობა, მით უმეტეს, თუ ამის შედეგად სხვა პატიმრების უფლებები ირღვევა. საია მოუწოდებს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში შეისწავლონ მითითებული ინფორმაცია და მისი დადასტურების შემთხვევაში ყველა შესაბამის პირს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისროს.

gyla.ge

თამარ ივერი
დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონცერტს გამართავს

თამარ ივერი

მომღერალი თამარ ივერი, 11 ოქტომბერს, ლგბტ ადამიანების მიერ სექსუალური ორიენტაციის გაცხადების საერთაშორისო დღეს, ყველანაირი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონცერტის გამართვას გეგმავს. ამის შესახებ ივერმა ლგბტ უფლებადამცველ ორგანიზაცია იდენტობასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მომღერალი, რომელიც ჰომოფობიური შინაარსის წერილის „ფეისბუქზე" გამოქვეყნების გამო, რამდენიმე ოპერამ აღარ მიიღო, მზად არის ყველანაირი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები შეკრიბოს და კონცერტი გამართოს. ივერი ლგბტ ადამიანებს ფეკალიებად მოიხსენიებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ამის გამო მას კარიერაში მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა, ქართველ ლგბტ უფლებადამცველებს საკუთარი სურვილით დაუკავშირდა.

კითხვაზე, ცნობილია თუ არა მისთვის საპატრიარქოს პოზიციის შესახებ დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებით, თამარ ივერმა უპასუხა: „ერთსულოვნების არხზე გამუდმებით გადის საოპერო დადგმები ჩემი მონაწილეობით. მაგრამ, თუ საპატრიარქოსთვის ასეთი მისაღები ფიგურა ვარ, მაშ რატომ არ ამოიღო ხმა მან მაშინ, როდესაც ჩემზე ურიცხვი თავდასხმა ხორციელდებოდა? ახლა, როდესაც კონცერტი იმართება და ამ კონცერტის მთავარი მესიჯი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა, საპატრიარქო წინააღმდეგი რატომ უნდა წავიდეს? ძალადობას ხომ არ გაამართლებს?

მიუხედავად იმისა, რომ ღრმად მორწმუნე ადამიანი ვარ, არსებობს საკითხები, რომელშიც საპატრიარქოს ვერ დავეთანხმები. თუნდაც, ეპისტოლეში, რომელშიც სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვები უბედურ არსებებად არიან მოხსენიებულნი. ჩემთვის გაუგებარია ბავშვების დაყოფა ნებისმიერი ნიშნით. კიდევ ვიმეორებ, ღრმად მორწმუნე ადამიანი ვარ, მაგრამ არც თავად უფალი ჩვენი, იესო ქრისტე მოვლენია ამ ქვეყანას ჩვეულებრივი ჩასახებით," — აცხადებს ივერი.

იდენტობის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ 2014 წლის 15 ივნისს, თამარ ივერი საკუთარი ინიციატივით ეწვია მათ ოფისს.

„შეხვედრაზე, მეგობრულ ატმოსფეროში ვრცლად ვისაუბრეთ სიძულვილის ენის მავნებლობაზე ჩვენს ისედაც ძალადობრივ საზოგადოებაში, რადგან ეს სოციალური შუღლის გაღვივებას და ჩაგრული ჯგუფების მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. თამარ ივერი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ გამოვლენილი ძალადობა ცალსახად ნეგატიური მოვლენაა და სიძულვილის ენას საჯარო სივრცეში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. მან ასევე ღრმა გულის წუხილი გამოხატა იმ ტკივილის გამო, რომელიც საქართველოსა და მსოფლიოში მცხოვრებ ლგბტ ადამიანებს მის „ფეისბუქის" კედელზე შარშან განთავსებული ტექსტით მიადგა," — ნათქვამია იდენტობის პრესრელიზში.

ივერის განცხადების შემდეგ ლგბტ აქტივისტებსა და მხარდამჭერებს შორის აზრი ორად გაიყო — ნაწილს მომღერლის გულწრფელობის არ სჯერა და მიიჩნევს, რომ სიძულვილის გამომხატველ ქალბატონს ლგბტ პირები რეპუტაციის აღდგენაში არ უნდა დაეხმარონ. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ივერის პიროვნულ მოტივებს მნიშვნელობა არ აქვს, აღნიშნული კონცერტი ნიშანი იქნება, რომ ჰომოფობია თანამედროვე სამყაროში სრულ კაპიტულაციას განიცდის და ადამიანებს აიძულებს სიძულვილი დათმონ.

tabula.ge

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უპირატესობაა მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების ჩართულობა

ინტერვიუ ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე გიორგი ქაშაკაშვილთან

მე-4 გვერდიდან

— ბატონო გიორგი, თქვენთვის ისტორიული პროცესი იყო ნაფიც მსაჯულთასასამართლოშიმონაწილეობა, როგორი იყო ეს განცდა — ჩვეულებრივ პროცესთან შედარებით, რაიმე განსხვავებული სირთულით გამოირჩეოდა?

— უპირველესად, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ჩემთვის დიდი პატივი იყო ვყოფილიყავი პირველი მოსამართლე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც უძღვებოდა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმის განხილვას. აღნიშნული ტიპის საქმეები, რა თქმა უნდა, ხასიათდება გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით. მეტად ფრთხილი მიდგომა სჭირდება იმ საკითხს, რომ ნაფიცი მსაჯულები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათ არ ესმით იურიდიული ტერმინოლოგია. აღნიშნულის გათვალისწინებით ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევდი მათთვის ჩემს მიერ გაკეთებული განმარტებები ყოფილიყო მაქსიმალურად ადვილად გასაგები და აღსაქმელი.

— ჩვეულებრივ სასამართლო პროცესზე რომ განხილულიყო ეს საქმე, როგორ ფიქრობთ, იგივე განაჩენი დადგებოდა?

— ვინაიდან მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი მიიღეს სხდომის თავმჯდომარის მიერ გამოსაყენებელი კანონის განმარტებების და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე დამოუკიდებლად, მათი კომპეტენციის ფარგლებში, მითითებულის გათვალისწინებით და აღნიშნული ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად მიმაჩნია და თავს შევიკავებ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებაზე.

— უახლოეს მომავალში ხომ არ იგეგმება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა?

— დღეის მდგომარეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ერთ სისხლის სამართლის საქმეზე უკვე მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომები, ხოლო მეორე სისხლის სამართლის საქმეზე უახლოეს პერიოდში დაიწყება შერჩევის პროცედურები.

— როგორც ცნობილია, ჯერჯერობით, საქართველოში 8 საქმე აქვს განხილული ნაფიც მსაჯულებს. უკვე ჩატარებული პროცესების ანალიზის საფუძველზე, თუ არის რაიმე კონკრეტული პრობლემა გამოვლენილი, რომლის დახვეწაც საჭიროა?

— ამჟამად რაიმე კონკრეტული პრობლემა გამოვლენილი არ არის, თუმცა ზოგადად მინდა ვთქვა, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემის წარმატება თუ წარუმატებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეეწყობა ის ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულების ღირებულებებს, რომლებიც გულისხმობს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პატივისცემას, საზოგადოების ამ პროცესებისადმი მონდობა სასურველ შედეგს გამოიღებს, რაც ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

— როგორ ფიქრობთ, მაინც რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და რამდენად გახდება ის პოპულარული საქართველოში?

— იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განხილულ საქმეებზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ჯერჯერობით აქვს, რაიმე უარყოფითი მხარის წინ წამოწევა გამიჭირდება, თუმცა მიმაჩნია, რომ გარკვეული დადებითი ასპექტები გამოიკვეთა, რომლებიდანაც აღვნიშნავდი საზოგადოების ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. აღნიშნული ხელს უწყობს საზოგადოების მართლშეგნების ჩამოყალიბებას და ჯანსაღ განვითარებას, ასევე ზრდის ნდობის ხარისხს სასამართლოს მიმართ, ვინაიდან თავად საზოგადოება გვევლინება გადაწყვეტილების მიმღების როლში ამავე საზოგადოების ერთ-ერთი წევრის მიმართ. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ქვეყნის კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე. საქართველომ აირჩია ახალი და მაღალი სტანდარტი მართლმსაჯულებისა, რომელიც მოიცავს როგორც მოსამართლის, ისე საზოგადოების როლს, არჩევანი კი, ძირითადად,: იმ ადამიანზეა, ვინც ბრალდებულად არის წარდგენილი სასამართლოში.

ნატო გუგელაძე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ქვეყნის კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე.

ვინ შეიძლება გახდეს ნაფიცი მსაჯული

პირი ნაფიცი მსაჯული გახდება, თუ:
- შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში;
- ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას;
- ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი;
- შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის განხორციელებას.

პირი ვერ იქნება ნაფიცი მსაჯული, თუ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი აცილების საფუძველი, ან იგი არის:
- სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი;
- გამომძიებელი;
- პოლიციელი;
- ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;
- სასულიერო პირი;
- საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე;
- ბრალდებული;
- ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელადდადებული პირი;

გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების გათვალისწინებით, მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად საქმეში აშკარად უსამართლობა იქნება;
- ფსიქოლოგი;
- ფსიქიატრი;
- იურისტი.

პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიც მსაჯულის ფუნქციის განხორციელებაზე, თუ:
- უკანასკნელი წლის განმავლობაში იყო ნაფიცი მსაჯული;
- ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- ხანგრძლივი ვადით იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- 70 წელს გადაცილებული.

ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობები

ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, თავის წერილობით მიმართვაზე მიიღოს:
- სასამართლოსგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;
- წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ;
- სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება:
- სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ;
- მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;
- მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს - დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ;
- მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს სხდომის მიმდინარეობისას ჩანაწერების გაკეთების უფლებას. ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახში გასვლამდე ეძლევათ სასამართლო სხდომის ოქმი, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს.

ნაფიც და სათადარიგო მსაჯულებს ეკრძალებათ:
- სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება;
- ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;
- განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა;
- განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა;
- სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა.
- ნაფიცი მსაჯული ვალდებულია დაესწროს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს;
- ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია"
ელფოსტა: **bestcompany_z@yahoo.com**

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ცხოვრებისეული პრობლემების გამო მოგიწევთ ღრუბლებიდან ძირს ჩამოსვლა. არ ინერვიულოთ, ასე დიდი ხანი არ გაგრძელდება.

კურო: კარგი იქნება დილის გამამხნევებელი ვარჯიშების შესრულება. ეს დადებითად იმოქმედებს როგორც თქვენს ფიზიკურ, აგრეთვე სულიერ მდგომარეობაზე.

ტყუპები: თავს კარგად იგრძნობთ. სუფთა ჰაერზე დასვენება წაგადგებათ, დრო მშვიდ გარემოში გაატარეთ.

კირჩხიბი: გაანალიზეთ თქვენი კვების რეჟიმი, თუ დაკლება გსურთ შეგიძლიათ დიეტა დაიწყოთ, ან, უბრალოდ, შეზღუდოთ ხორციანი საკვების მიღება, ბოსტნეული და ხილი სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის. ნურც ზღვის პროდუქტებს დაივიწყებთ.

ლომი: მეგობრებთან შეხვედრა გპირდებათ საინტერესო საღამოს. შესაძლებელია, შემოგთავაზონ ხელსაყრელი საქმე. სიფრთხილე და თავშეკავებულობა გამოიჩინეთ ფინანსურ საქმეებში.

ქალწული: საკუთარ თავზე დამატებით საქმეებს ნუ აიღებთ. ეცადეთ, დრო დასვენებასაც დაუთმოთ, განვლილ კვირაში საკმაოდ გადიღალეთ, დროა ჯანმრთელობას მიხედოთ. მიირთვით რაც შეიძლება მეტი ხილი.

სასწორი: თქვენთვის უმთავრეს საკითხად შესაძლებელია იქცეს დიეტა. ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ ხორციანი და ცომიანი საკვებით, ყურადღება მიაქციეთ კვების რაციონს. მოიკრიბეთ ძალები, სულ მალე თქვენ ის დაგჭირდებათ.

მორიელი: არაა გამორიცხული, რომ ჯანმრთელობის გაუარესება შრომის გრაფიკის ბრალია. ეცადეთ, მეტი იმოძრაოთ, წესად დანერგეთ ყოველ დილით გამამხნევებელი ვარჯიშები.

მშვილდოსანი: დიდია ალბათობა, რომ კარგ ხასიათის განწყობაზე იქნებით. საღამო მეგობრებთან ერთად გაატარეთ, იხალისეთ და გაერთეთ.

თხის რქა: გავლენას იქონიებთ პრობლემების გადაჭრაზე. დროა დეტალურად გაანალიზოთ, დაგეგმოთ და განახორციელოთ მომდევნო ქმედებები.

მერწყული: მეტი ყურადღება დაუთმეთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. დათრგუნულობა არ შეუწყობს ხელს კარგ განწყობაზე ყოფნას. ოჯახური პრობლემები ბევრ დროს და ენერგიას წაგართმევთ.

თევზები: დასვენების დღე ბუნებაში გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან ერთად. ეს კვირა სასიამოვნო სიურპრიზს გპირდებათ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. რუსლანი . 5. ქსელი. 6. უპე. 8. მოა. 9. საუნა. 11. იამაიკა.
შვეულად: 1. ასული. 2. პან. 3. როსტოვი. 4. იაპონია. 7. მარია. 10. თმა.

ვის ეკუთვნის რეგიონული მედია?

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ახალ ანგარიშს აქვეყნებს — „ვის ეკუთვნის რეგიონული მედია?“ ანგარიში რეგიონული მედიასაშუალებების მფლობელობის, დაფინანსებისა და რესურსების საკითხებს განიხილავს.

„რეგიონული მედია ადგილობრივ დონეზე დისკუსიის წარმართვის კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს როლი კიდევ უფრო იზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფონზე. ეს არის ანგარიშის მეორე ნაწილი, პირველი კვლევა მსხვილ მედია საშუალებებს შეეხებოდა, ამჯერად კი რეგიონული მედია განვიხილეთ. შეიძლება ითქვას, რომ მედია რეგიონში გამჭვირვალეა და მცირე გამონაკლისების გარდა, ამ დროისთვის რაიმე სახის დარღვევები არ არსებობს. არცერთი მედიასაშუალება არ იმალება ოფშერული კომპანიების მიღმა. რეგიონული მედიის სექტორში მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ბიზნესმენი ფიგურირებს. ძირითადად, 2012 წლამდე რამდენიმე მედიასაშუალება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა საკუთრებაში არსებობდა. ანგარიში მედიასაშუალებების დაარსებიდან მიმდინარე წლის 30 აპრილის პერიოდს გულისხმობს, თუ ამ ხნის შემდეგ რაიმე ცვლილება განხორციელდა, ეს ანგარიშში აღნიშნული არ არის,“ — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარმა, **ანა დაბრუნდაშვილმა**.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანგარიშით ბაზრის კონცენტრაციის დონე რეგიონებში ამ დროისთვის შეშფოთების საფუძველს არ იძლევა. რამდენიმე ტელეკომპანიას საკუთარი რადიოსადგურიც აქვს, ადგილობრივი გაზეთების უმრავლესობა ასევე ონლაინ მედიასაშუალებებს ფლობს. რეგიონული მაუწყებლობისთვის უმთავრეს პრობლემად ფინანსური სტაბილურობა რჩება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ª;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

21.07.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, **მაია ფანჯიკიძის** ამოცნობა ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა **სულიკო ფუტკარაძემ** შეძრო.

რას დაარქმევდით?

გიორგი მარგველაშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

დავით, დააბრუნე დავითი!

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. უდიდესი მდინარე საქართველოში. 5. მაღალი ხარისხის მინა. 6. „არსაიდან ... არსით ძახილი“(ილია). 8. ფრანგი ფეხბურთელი ... არფა. 9. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში. 11. საფესტივალო ქალაქი ლატვიაში.

შვეულად: 1. დანაყოფები თერმომეტრზე. 2. ვინსენტ ... გოგი. 3. ქალაქი და ნავსადგური საფრანგეთში. 4. ქვეყანა ანტილის კუნძულთა ჯგუფში. 7. ნახევარკუნძული ეგვიპტეში. 10. ხანი, ჟამი.



როგორ იბრძოლა „სულიკოს" ავტორმა
ვარინკა წერეთელმა საავტორო უფლებების მოსაპოვებლად?!

XIX საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოში ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელსაც რუსიფიკაციის ტალღა უნდა შეეკავებინა. ამ მოძრაობის მონაწილე იყო გვიტია აგიაშვილი, რომელსაც სოფელ ჭორვილაში საშინაო სკოლა ჰქონდა გამართული. მისი მეუღლე, გენერალი სპირიდონ მაჭავარიანი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრი იყო. 1874 წელს ახალგაზრდა წყვილს ქალიშვილი, ბარბარე/ვარინკა შეეძინა. გოგონა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული მუსიკალურობის გამო, ზინაიდა ვორობეცს (ფილიმონ ქორიძის მეუღლე) მიაბარეს.

„P.S.-ფოტო" ©

სოფელი ცხრაწყარო (ზესტაფონის რაიონი). აქ ყოველწლიურად ტარდება ქართული სიმღერის ფესტივალი „ვარინკობა", რომელიც ეძღვნება „სულიკოს" ავტორის – ვარინკა წერეთლის ხსოვნას.

ნიჭიერ გოგონას მაჭავარიანების ოჯახის ყველა ახლობელი და სტუმარი შეჰხაროდა: „მოსწონდათ ჩემი სიმღერა და მამხნევებდნენ. განსაკუთრებით მაგულიანებდა აკაკი, რომელსაც, როგორც თვითონ იტყოდა, ჩემი სიმღერა ყველაზე უფრო ტკბილად ესაუბრებოდა. მუსიკას უფრო დაეჯერება, ვინემ სიტყვებსაო, — მეტყოდა პოეტი და მეც უფრო ხშირად მის ლექსებს ვმღეროდი" — იხსენებს ვარინკა. იგი მალე მგოსნის რძალი გახდა — ჩვიდმეტი წლისამ სერგო წერეთელზე იქორწინა. ორ წელიწადში წყვილს ვაჟი შეეძინა, პატარა სპირიდონი, რომელსაც შინაურობაში „გუგულის" ეძახდნენ.

1895 წელს ჟურნალში „კვალი" დაიბეჭდა აკაკის „სულიკო", რომელიც პოეტმა მალევე გადასცა ვარინკას და სთხოვა — რამე ჰანგი შეერჩია მისთვის. ასე დაიბადა მრავალი ადამიანისთვის საყვარელი სიმღერა. მადლიერების გამოსახატავად პოეტმა კომპოზიტორს საკუთარი სურათი აჩუქა წარწერით: „ჩემს საყვარელ ბულბულს, სულიკო-ვარინკას, აკაკისაგან."

1898 წელს კი ინგლისურმა ფირმამ „ფონოგრაფი" ვარინკას „პირმშო" ცვილის ლილვაკებზე ჩაწერა ვანო მაჩაბლის სახლში, ხოლო 1900 წელს კოტე ფოცხვერაშვილმა ნოტებზე გადაიტანა მეჩონგურეთა გუნდისათვის და ფორტეპიანოსათვის. ეს ვერსია ორკესტრმა 1905 წლის აგვისტოში შეასრულა ქუთაისის საქალაქო თეატრში.

ვარინკა წერეთელი

1909 წლიდან ვარინკა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეა ყვირილის (ზესტაფონი) თემში. რამდენიმე წელიწადში მან აქ სამკითხველოს გახსნაც მოახერხა და საკუთარ სახლში, სოფელ ცხრაწყაროში, სკოლაც გამართა. განათლების ეს პატარა კერა ათამდე სოფელს ემსახურებოდა.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რეაქციის წლებში, ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ლაშქრობას შეეწირა ზესტაფონის თეატრი, სადაც ოხრანკა დიდი რაოდენობით იარაღს ეძებდა. ახალგაზრდა რევოლუციონერი სტალინი კი ჟანდარმებს სწორედ ვარინკას სახლის სარდაფში ემალებოდა. როგორც ჩანს, აქედან მოდის ტირანის „სულიკოსადმი" განსაკუთრებული სიყვარული.

ამასობაში ვარინკას ვაჟმა საშუალო სკოლა დაამთავრა და საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში გაემგზავრა მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად. 1919 წელს, სამშობლოში მომავალს, პეტერბურგში ჭლექი შეეყარა. დაუღალავი მკურნალობისა და რუდუნების მიუხედავად, იგი მალევე გარდაიცვალა. სასოწარკვეთილი დედა კარგა ხნით მოსწყდა გარესამყაროს: ხალიჩებაკრულ ფანჯრებში მზის სხივს არ უშვებდა და დასტიროდა დაკარგულ ერთადერთ იმედს.

1934 წელს გადაღებულმა ფილმმა „უკანასკნელი მასკარადი", სადაც რეჟისორი თავად ასრულებს „სულიკოს", დიდად შეუწყო ხელი სიმღერის პოპულარულობას. ამას დაემატა 1937 წლის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში, სადაც „სულიკო" ავქსენტი მეგრელიძის მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა შეასრულა, მაგრამ არა როგორც ვარინკა წერეთლის, არამედ – როგორც ხალხური სიმღერა.

ამ დღიდან მთელი საბჭოეთის შემოქმედებითი ჯგუფები ერთმანეთს ასწრებდნენ მის შესრულებას, გადამღერებას თუ გადამუშავებას. ვარინკა წერეთელი, ცხადია, არავის უხსენებია. მისი ნათესავი, პაპუნა წერეთელი, რომელიც დეკადაზე რუსთაველის თეატრს ახლდა, სამშობლოში გულდამძიმებული დაბრუნდა: „სულიკოს" არნახული წარმატება და ვარინკას უნუგეშო მდგომარეობა ერთმანეთთან ვერ თავსდებოდა.

მიხვდა ვარინკა, რომ მას ყოველთვის დაივიწყებდნენ, თუ თავად არ გაიხსენებდა საკუთარ არსებობას, ამიტომაც დაიწყო „ბრძოლა გახსენებისთვის": ჩამოვიდა თბილისში და სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიმართა საავტორო უფლების მოსაპოვებლად.

საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის, 1938 წლის 5 ოქტომბრის სხდომამ (თავმჯდომარე ვანო გოკიელი, ესწრებოდნენ: კოტე ფოცხვერაშვილი, შალვა დადიანი, ავქსენტი მეგრელიძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი სანდრო კავსაძე) დაადგინა, რომ სიმღერა „სულიკოს" ავტორი ვარინკა წერეთელია.

მაგრამ ავქსენტი მეგრელიძემ არ ისურვა შემოსავალი „სულიკოს" ავტორისთვის დაეთმო და თანაავტორობა დაიჩემა. ამიტომ, ვარინკა იძულებული გახდა, საკითხის გასარკვევად იუსტიციის კომისრისთვის მიემართა, სადაც სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მისი ავტორობა დაამტკიცა და „სულიკოს" შემოსავლის 75% სწორედ მას მიაკუთვნა, ხოლო 25% — ავქსენტი მეგრელიძეს, როგორც სიმღერის პოპულარიზატორს. 1940 წლიდან ვარინკას სიმღერებს უკვე დები იშხნელები ასრულებდნენ. მათი დედა, ვასასი ლოლაძე, ვარინკას მეგობარი და საუკეთესო მომღერალი იყო.

იშხნელების რეპერტუარში „სულიკოს" გარდა შედიოდა ვარინკას მეორე, არანაკლებ პოპულარული სიმღერა „მუხამბაზი". სამწუხაროდ, დღეს უკვე ძალიან რთულია მის მიერ შექმნილი სხვა მელოდიების დადგენა, რადგან აღარავინაა ისეთი, ვისაც ამ საკითხზე ცნობები გააჩნია.

ვარინკა წერეთელი 1948 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ცხრაწყაროში, ვაჟის გვერდით.

სიმღერა „სულიკოს" უამრავ სანოტო გამოცემათაგან, მუსიკის ავტორს მხოლოდ 1939 წლის გამოცემა აღნიშნავს. ესეც იმიტომ, რომ ეს საკითხი ახალი გარკვეულია. სხვა ყველა გამოცემას აწერია: „ტექსტი აკაკი წერეთლისა, მუსიკა — ხალხური". მათ შორის არის 1954 წელს, ვანო გოკიელის მიერ გუნდისა და ფორტეპიანოსთვის გამოცემული ნოტები. აქ უცნაური ის არის, რომ სწორედ ეს ადამიანი თავმჯდომარეობდა სხდომას, რომელმაც ვარინკას ავტორობა დაადგინა.

დავიწყების ამ მისტიკას ეძღვნება ლია ჯაყელის ფილმი „სადა ხარ, ჩემო სულიკო". რეჟისორი დეტალურად მოგვითხრობს „სულიკოს" ისტორიას და დემონსტრაციულად აღადგენს სამართლიანობას — ტიტრებში ხაზგასმულად აჩვენებს წარწერას: „კომპოზიტორი ვარინკა წერეთელი", — სიმართლე, რომელიც აქამდე ვერავის დასცდა.

წყარო: „ფემინიზმი და გენდერული თანასწორობა"

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".

ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

 პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSpress-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94